# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელად: მან. |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 4 მან. | — 3 |
| ნახევრის წლისა | — 3 — | — 2 |
| სამის თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. |

მესამე წელიწადი

გამოდის შაბათობით

ხელისმოწერა მიიღება.

თფილისის «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და კომპ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Дубелира (Г. Церетели и К°).

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხების დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თფილისში, დუბელირის (გ. წერეთლის და კომპ). სტამბაში.

№ 19 შაბათი | 11 | 24 ოკტომბერი, 1870 წ.

შინაარსი:

ოფიციალური ნაწილი: განცხადება დუშეთის იარმუკაზე: — არა ოფიციალური ნაწილი: — მოძღვრება. — სამეურნეო ნაწილი. — ქ.ტის სამეურნეო საზოგადოება. — ცხვრის ავათ-მყოფობაზე. — სხვა-და-სხვა ამბავი: — თავისით ნასწავლი მექანიკი რუსი — გლეხების სახელმწიფო ხარჯზე. — უმაწვილების აღზრდაზე და სხვ. — სახაზინო განცხადება.

## ოფიციალური ნაწილი

### განცხადება

რვა ნოემბრიდგან დაწყებული თოთხმეტამდის რომ დუშეთს იარმუკა არის გამართული, ამაზე წარსულს 1869 წელს «სასოფლო გაზეთში» იყო გამოცხადებული, მაგრამ რადგან ზემოხსენებულ დროს განმავლობაში მუდამ სიცივეების და შემოდგომის წვიმები, ამისთვის იარმუკა იმ დროს ვერ ხერხდება. კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესი სამმართველოს, უფროსის თანამდებობის აღმასრულებელის ნებართვით ეს იარმუკა რვა ნოემბრიდგან გადმოიტანეს ცამეტ ოკტომბერს და უნდა გაგრძელდეს რვა დღე ოცდა ერთ ოკტომბრამდის.

განვაცხადებ რა ამას საყოველთაო საცნობად, ვსთხოვ ყველა მამა-სახლისებს, რომელნიც ტფილისის გუბერნიაში იმყოფებიან, გამოუცხადონ თავიანთ საზოგადოებათა, რომ სოფლების მცხოვრებლებმა სხვა-და-სხვა სოფლური ხელობის ნაწარმოები და ნამუშევარი, მაგალითად: ხორბალი, ფქვილი, ერბო, ყველი, კვერცხი და სხვ. აგრეთვე პირუტყვი, იარაღი, ჭურჭელი, მაუდი და სხვა ნაკეთები მოზიდონ დუშეთს მიხაილოვის იარმუკაზე გასასაღებლად ან ფულად, ან გაცვლით. 1870 წელს სეკტემბრის 26.

დუშეთის უეზდის ნაჩალნიკი ი. ზუბალოვი.

### ОБЪЯВЛЕНІЕ

Учрежденная въ гор. Душетѣ Михайловская ярморка, ежегодно съ 8 по 15 число ноября, опубликованная въ «Сельской Газетѣ» для общаго свѣдѣнія, въ 1869 г., по неудобству времени не соотвѣтствуетъ своему назначенію, по причинѣ наступленія въ періодъ этого времени холода и вообще позднеосенныхъ дождей, бывающихъ почти ежегодно въ продолженіе назначеннаго для ярморки времени. Съ разрѣшенія Господина исправляющаго должность Начальника Главнаго Управленія Намѣстника Кавказскаго, ярморка эта перенесена съ 8 ноября на 13 число октября, и должна продолжаться до 21 того же октября ежегодно, т. е. 8 дней.

Объявляя объ этомъ для общаго свѣдѣнія, прошу Старшинъ Сельскихъ обществъ, состоящихъ въ предѣлахъ Тифлисской Губерній, объявить подвѣдомственнымъ имъ обществамъ, чтобы жители имѣющія унихъ на продажу разныя сельскія произведенія, какъ то: пшеницу, муку, масло, сыръ и другіе продукты, а также скотъ, оружіе, посуду, сукно и тому подобныя издѣлія привозили въ Душетъ на Михайловскую Ярморку, въ виду успѣшнаго сбыта всякаго рода произведеній или на деньги или посредствомъ обмѣна. — Сентября 26 дня 1870 г.

Душетскій Уѣздный Начальникъ *И Зубаловъ.*

## მოძღვრება

შორაპნის მაზრის ხარაგაულის საზოგადოებისადმი, რომელსაც სოფლელებმა ამოირჩიეს ახალი მოხელეები.

პატივცემულო თანა-მემამულენო?

ეს წესდებულება, რომლისათვის თქვენ ხართ დღეს მთავრობის ბრძანებით მოწოდებულნი, სამი წლის წინეთ ხელმწიფე იმპერატორის ნებით დადგინდა, მაგრამ მაშინ, ახალი საქმე იყო და არ გესმოდათ მოხელეების მოვალეობა, ამისგამო მრავალგან მოხდა ურიგო კაცების დაყენება და ამის მიზეზით დრტვინვა და შემდეგ მართებლობის თავის შეწუხება.

***

დღეს გეძლევათ თქვენ წინა-დადება მართებლობისაგან ხელ-ახლად მოხელეების სამის წლით აღრჩევისა. და ეს საქმე, ძმანო, მცირედი საქმე არ გეგონოსთ, მადლობა ღმერთს

ახლა გამოცდილებით იცით, რაში მდგომარეობს მოვალეობა მამა-სახლისისა და მოსამართლეებისა. თუ გინდათ, რომ ამ წესდებულებას მისცეთ უმეტესი წარმატება და მომავალი თქვენი ყოფა-ცხოვრება იქნეს უფრო დაწყნარებული, ყოველი ღონის-მიება იხმარეთ, რომ სანდისიანი და ღვთის მოშიში კაცები დააყენოთ მოხელეთ. ვისაც ღვთის ეშინია და კაცის რცხვენია დარწმუნებული იყავით, რომ ის უეჭველად აღასრულებს თავის მოვალეობას და საზოგადოების კეთილ-მდგომარეობისათვისაც იმეცადინებს. წინა-აღმდეგ შემთხვევაში თქვენვე შეწუხდებით და მართებლობა ყურადღებას აღარ მიაქცევს თქვენს საჩივარს.

* * *

საჯულეო სასამართლოები მისთვის დაადგინეს, რომ გლეხები თავით თვისით განაგებდენ თავიანთ საქმეს. თქვენ სანამდის გინდათ, ძმანო, სხვისი ხელით საქმე იკეთოთ და გამვლელ-გამომვლელს ეხვეწოთ მოწყალებისას, გადაკაიხვა? მართალია, თქვენ ძველი კაცები ხართ, წარსულ დროში არც ნება გეძლეოდათ განათლების მიღებისა, ახლა კი თქვენს შვილებს ყველგან კარი ღია აქვსთ სწავლის მიღებისა, მაგრამ სამწუხაროთ ახლაც გულგრილათ ხართ შვილების აღზრდაზე, რადგან უსწავლელობა და გაუნათლებლობა ჩვეულებად არის თქვენში დანერგული. ხომ იცით, სწავლას რა სარგებლობა მოაქვს! სწავლული კაცი უფრო მალე მოძებნის ცხოვრების ღონისმიებას და საშუალებას, ხოლო უსწავლელი კი მუდამ ბნელში ზის. ღმერთს მოუცია ნიჭი მოიხმარეთ იგი სასარგებლოდ, ეცადეთ შვილების განათლებას და მით აღასრულეთ სიტყვა ძველი მოციქულისა, რომელი ეტყვის მამათა: განზარდენით შვილი თქვენი სწავლითა და მეცნიერებითა უფლისათა.

* * *

დიდად სასარგებლო იქმნება მომავალი თქვენი ცხოვრებისათვის, რომ პურის, ანუ სიმინდის მაღაზიას დააწესებდეთ. მომავალი ორი წლის განმავლობაში, ყოველ შემოდგომაზედ რომ თითო კოდი ჭირნახული შეიტანოთ ერთ დანიშნულ სახლში, იგი შეადგენს სრულს მაღაზიას, რადგანაც ეს საზოგადოება შეადგენს დღეს უმეტეს ხუთასის კომლის გლეხისა. აქედან მცირედი სარგებლით შეგიძლიათ გამოიტანოთ ჭირნახული და დანიშნულ ვადაზედ კვალადვე შეიტანოთ. მაღაზიის დაწესება ჩვენში არის ახალი საქმე, თორემ მრთელი ევროპა და რუსეთი მოფენილი არის ამისთანა მაღაზიებით.

* * *

დასასრულ ღმერთმა ინებოს დანერგვა ამა ჩემის მოძღვრობისა გულთა შინა თქვენთა და მადლი და კურთხევა მისი იყოს თქვენზედა ამინ.

ბლაღოჩინი მღვდელი გიორგი დეკანოსიძე.

## სამეურნეო ნაწილი

* * *

რამდენათაც უფრო განათლდება რომელიმე ერი, იმდენათ უფრო მიაქცევს თავის ყურადღებას სახნავ-სათესის მიწას და ოჯახობას, რადგან მხოლოდ ამ ორის საშუალების გაუმჯობესობით მიეცემა კაცს სიმდიდრე კეთილმდგომარეობა და განათლებული ცხოვრება. მიწა არის მადანი კაცის კეთილმდგომარეობისა და რამდენათაც უფრო ნასწავლია კაცი, იმდენათ უფრო ბევრს ცხოვრების საშუალებას იღებს იქიდგან. ბატონ-ყმობის განთავისუფლების შემდეგ. რუსეთის ერი და იმის განათლებული საზოგადოება დიდი გულს-მოდგინებით შეუდგენ მიწის შემუშავების საქმეს და ცდილობენ ყოველი ღონისმიება იხმარონ მეურნეობის და ოჯახობის გასაკეთებლად. ისინი არ ზოგვენ არც ფულს და არც შრომას, რომ ყოველ-ნაირი ევროპელი მიწის სამუშაო იარაღები და იმის ცოდნა გადმოიტანონ თავიანთს ქვეყანაში. ამისთვის რადგან ერთი კაცის ცდა და საშუალება ცოტაა, ისინი ადგენენ მრავალს საზოგადოებას და ერთობით მოქმედებენ, რომ უკეთ მოიყვანონ თავისი აზრი ასრულებაში. ეს საზოგადოებანი ადგენენ წესდებას, რა გზით უნდა იმოქმედონ. სხვათა შორის ჩვენ აქ გადმოვსწერთ ზოგიერთ მუხლებს ესტის სამეურნეო საზოგადოებისას, რომელიც დამტკიცდა ამ წლის სამს სეკდემბერს.

* * *

## წესდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) სამეურნეო საზოგადოების განზრახვაის არის, რომ გაავრცელოს ესტებში სამეურნეო ცოდნა და გააუმჯობესოს იმათი მიწის მუშაობა ყველგან ყოვლის ღონისმიებით

* * *

2) საზოგადოება შედგება ორგვარ წევრებისაგან: ნამდვილისა და საპატიოებისგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. პირველათ ნამდვილი წევრები ისინი არიან, რომელთაც შეუდგენიათ ეს საზოგადოება და შემდეგ წევრები ამორჩევით უნდა მოგროვდეს.

* * *

3) ნამდვილ წევრებათ უნდა იყონ სოფლის მეოჯახენი და აგრეთვე სხვანი, რომელთაც ჰსურთ და შეუძლიათ კიდეც იქმნენ სასარგებლონი საზოგადოებისთვის.

* * *

4) საპატიო წევრებათ მხოლოდ ისინი ამოირჩევიან, რომელთაც რაიმე დიდი სარგებლობა მიუციათ საზოგადოებისთვის, ან მოხმარებიან იმის განზრახვის ასრულებას.

* * *

5) ნამდვილმა წევრმა უნდა შეიტანონ პირველათ ორი მანეთი და შემდეგ ყოველთვეობით თითო აბაზი და ყოველთვის დამდეგს სამი თვის ერთად.

6) ნამდვილ წევრათ ამორჩეულს კაცს მისცემენ ერთს წიგნს რომელშიაც ჩაწერილია მთელი წესდება, აგრეთვე მისცემენ ბილეთს, სადაც უნდა იყოს ჩანიშნული, რამდენიც წევრს შემოუტანია, და თუ არ გადაიხადა თავისი ვალი, უიმისოთ საზოგადოებაში შესვლა არ შეუძლია.

7) ნამდვილ წევრმა თუ დააგვიანა ფულის გადახდა სამი თვის მეტათ, გამორიცხულათ ითვლება და საზოგადოებას უნდა დაუბრუნოს წესდების წიგნი და ბილეთიცა. თუ ჰსურს კიდევ წევრათ ყოფნა, უეჭველათ უნდა შემოიტანოს რაც დაუკლია და ახალი სამი თვისა.

7) საპატიო წევრები კი არას იხდიან, საზოგადოების სასარგებლოთ, თუ არ თავის ნებით.

9) საზოგადოება ამოირჩევს ყოველ წლობით ცხრა გამგებელს: 1) თავს-მჯდომარეს

ორი ამხანაგისა, 3 მმართველს ორი ამხანაგი ანა და ხაზინადარს აგრეთვე ორი თანა შემწეთი.

10) წარსული წლის მმართველნი შეიძლება მეორეთ ამოირჩენ.

11) საზოგადოებაში შეკრებილობა დაჭირებისამებრ მოხდება და საქმეები ხმების უმეტესობით გადაწყდება.

15) საზოგადოება ორნაირი საქმისთვის შედგება: დიდი საჭიროებისთვის და ცოტასათვის.

ცოტა საჭიროებისთვის შეკრებილება თვეში ერთხელ მოხდება და დიდისთვის, როგორც შემთხვევა მისცემთ.

## ცხვრის ავათმყოფობის მიზეზები, რომელნიც ცხვრის მომშენებელთა უნდა იცოდენ გასაფრთხილებლათ.

1) ზაფხულის თუ ნოყიერი საზდო არ ექნათ და ზამთარს თუ მარტო ბზეთი გამოიკვება, ცხვარი უეჭველათ ავათ გახდება.

ტან მთელისა და ღონიერის ცხვრებისათვის ბზე მარგებლიც არის და ბევრსაც საჭამენ. ავათ-მყოფი და სუსტი ცხვრები კი გაჭირებით საჭამენ და ეს საზდო კიდევ უფრო ასუსტებს. ეს შეეტყობათ უმატყულობით.

2) თუ მაკე ცხვარი უზომოთ ჰკვებენ, მაგ. მშობიერობის შემდეგ ცხვარი ის კი არა თუ თან-და-თან შეჩვიონ ნოყიერს საზდოს, უცბათ დაუწყებენ შვრიისა და ქერის მლევას და ამით დასუსტებულს დედალს ცხვრებს გაუჩნდებათ მრავალ გვარი ავათ-მყოფობა და უფრო ხშირათ ყვანა (მუცელა), თავ-ბრუ და სხვ.

ზოგჯერ მეცხვარეები ბატკნებს გამოუშვებენ დიდ ცხვრებთან ან ცალკე საძოვრათ და ამით ამჭლევებენ და ასუსტებენ, რადგან იმათ ბალახის ჭამა არ შეუძლიათ და უბრალოთ იღალებიან.

3) აგრეთვე მავნებელია: ხმელი საკვებიდგან ნედლს საკვებზე უცბათ გადაყვანა.

4) ცხვრების გამოშვება ზამთრის პირს პურის ყანებში მოსამოებლათ იმ დროს, როდესაც ხმელით იკვებებიან, როდესაც გარეთ რთვილს სდებს, ან მიწას თოვლი ჰფარავს.

5) ჯეჯილ ამოყრილ პურში ხან-და-ხან მიყვება, ან თუ პირველათ ამისთანა ნოყიერ საძოვარზე გაუშვეს ცხვრები და შემდეგ უცბათ უბალახო ადგილებზე გაიყვანეს, ეს უეჭველათ ავათ-მყოფობას გაუჩენს.

6) ავდარში ცხვრების ბალახზე გამორეკა, მაშინ როდესაც ფარეხებში უყუათო საზდო ჰქონიათ.

7) ცხვრების გამორეკა მქისს მინდვრებზე ან ტყეში, სადაც უყუათიანი საზდო არ იპოვება.

8) ჭაობში ნათიბის და დამპალი თივის მლევა, რომელიც დიდხანს ყოფილა გარეთ ცვარში და წვიმაში.

კიდევ არიან ცხვრის სნეულების მიზეზნი:

9) გაზაფხულზე და შემოდგომაზე დ სუსტებულ და ავათ-მყოფ ცხვრების გამორეკა ჭაობიანს და ცვარიანს ადგილებზე. არამც თუ დასუსტებული, ან ავათ-მყოფი ცხვრები ხდებიან ავათ ჭაობიანს ალაგებში, არამედ ტანმთელებსაც კი ავნებს ხოლმე.

10) მავნებელია უწესოთ და უდროოთ მარილით ჭკვება ცხვრებისა.

11) უზომოთ და უდროოთ წყლის სმევა ცხვრებისა, განსაკუთრებით, როცა ისინი ახურებულნი არიან, აგრეთვე როცა მარილ ნაჭამნი არიან განსაკუთრებით, ტბისა და კოდის წყლების სმევა არ მოუხდება.

12) ცხენის ხშირად გაწყვეტინება და ერთმანეთზე მაკე ცხვრების მირეკა ვიწრო ალაგს, როცა ფარეხეში შერეკენ, ან როცა გამოუშვებენ.

13 ცხვრების ცივ წყალში ჩარეკა და ბანება: მაინც იმათი ღუნება ცივ წყალს ვერ იტანს.

14) თუ ცხვარს მატყლი სველი აქვს და ამ მდგომარეობაში დიდხანს რჩება ფარეხში გამოტან ჰაერზე.

15) როდესაც ახალ გაზდა ვერძს გაუშვებენ ორმოცს, ოთხმოცსა და ას ცხვარში დასამაკებლათ.

16) ახალ დაბადებული ბატკნების ხელით შინჯვა, სრესა.,

17) ცივსა და ნამიან კედლებთან ახალ დაბადებული ბატკნის დაწვენა.

ახალ დაბადებული ბატკნების გამორეკა ცხვრებთან, მაშინ როდესაც ისინი ფარეხებში უნდა ჰყავდეთ დამწყვდეული და თუ კარგი დარია მხ ლოდ მაშინ გამოუშვან ფარეხების წინ სახტომათ.

19) ჭაობიანს ან ნამიანს ალაგას ფარეხის გამართვა.

20) სხვა-და-სხვა ამინდების ცუდი გავლენა, მაგალითად დიდი სიცხე, დიდი წვიმები, თოვლ-ჭყაპი, ქარიშხალი უჩენს ცხვრების ავათ-მყოფობას, როცა ფარეხები უწმინდურათ არიან შენახულნი. ამისთანა ჰავის ცვლილება კიდევ უფრო საგრძნობელია ცხვრებისთვის, როცა მალიან ბევრი ნეხვია დაგროვილი ფარეხებში.

## სხვა და სხვა ამბავი

თავისით ნასწავლი მექარხნე რუსი. ერთი რუსის გლეხი თეოდორე გალკინი პეტერბურგს მოვიდა უმთავრესის არტილერიის სამმართველოს დაბარებით, ეს კაცი რამდენიმე წელიწადი სულ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე მოეგონებინა ჩქარი მსროლი ზარბაზანი. თეოდორე გალკინი სიბირის მცხოვრებელია და წინათ მიწის მუშაობით ირჩენდა თავს; ამასთანავე მოშლილს საათებს აწყობდა ხოლმე თუ მიუტანდენ; ბოლოს იმან იფიქრა ისეთი ზარბაზნის გაკეთება, რომელიც მალიან ჩქარ-ჩქარა გასროლილიყო.

ამ სამი წლის წინათ იმან წარუდგინა ადგილობრივს მთავრობას თავის მოგონილი ზარბაზნის მინუში და ყველაზე შესანიშნავი ის იყო, რომ რაც ნაკლულევანება ჰქონდა იმისგან მოგონილს ზარბაზანს, თვითონვე მიხვდა და გაასწორა. ეს კაცია სრულებით გაუნათლებელი და ევროპაში რომ ამისთანა ზარბაზნებს აკეთებენ, იმისი სრულებით არა სცოდნიარა და არც იცის რა-და-რა სახელ-მწიფოებია იქ. ახლა ეს კაცი დაბარებულია არტილერიის მთავრობისაგან, რომელსაც ჰსურს სცადოს იმისი მოგონილი ჩქარი მსროლი ზარბაზანი. შეიძლება სახმარებლათ არც კი გამოდგეს ის, მაგრამ მაინც მალიან შესანიშნავია, რომ უბრალო მჭედელმა, რომელსაც არასად არ უსწავლია, როგორ მიატანა თავისი მოხერხებით იმ ზომამდის, რომ ჩქარი მსროლი ზარბაზანი მოიგონა.

## კალმიკების ქვეყანაში სახელმწიფო ხარჯის შეცვლა.

კალმიკები ამჟამათ რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომები არიან. ერთი რუსის ჩინოვნიკი მალიან გაკვირვებულია, რომ აგრე დიდს ხარჯს ართმევდენ აქამდის ამ ხალხს. კიდევ გაჰკვირია, რომ კალმიკები სრულებით არ გაღარიბებულან და არ დაქცეულანო. ასე დიდი ხარჯი არც ხალხის ოჯახობის მდგომარეობას შეეფერება და არც იმის კეთილ-მდგომარეობას. მეორეს მხრით ახლა რომ წესით ჰკრეფვენ ხარჯს, იმათი მალიან სარგებლობენ თვითონ ხარჯის მკრებელი ჩინოვნიკები; ცალ-მხრით მთავრობას ჰპარვენ და ცალკე ხალხს სცარცვენო.

* * *

კოსტენკოვი ამბობს, რომ წლის ხარჯს გარდა, რომელიც ყოველ კალმიკს ზურგზე აწევს, თავის სარჩენათ მხოლოდ რვა მანეთი და სამი აბაზი რჩება წელიწადში. ხალხი ისე დამშეულია, რომ ორი წლის წინათ შიმშილისაგან სახადი გაჩნდაო. კალმიკები მაინც მთის ხალხი არიან, მოხელობა არა იციან რა. ყოველი კაცი რჩება მხოლოდ თავის პირუტყვით და ვისაც საქონელი არა ჰყავს, ის მძიმე სამუშაოს იღებს და იმაში წელს იწყვეტავს. ამისთანა მდგომარეობისგამო მიუცილებლათ საჭიროა, რომ სახელმწიფო ხარჯი გამოიცვალოს. კოსტენკოვის აზრი ჯერ უნდა დაათვალისდეს სულ-მთლად ის მიწები, რაც კალმიკებს უჭირავთ, მაგრამ რადგან მიწები მხოლოდ საბალახოთ უნდათ კალმიკებს, ამისთვის იმისდა გვარათაც უნდა დაფასდენ. ახალი ხარჯის რიგში არის მოხსენებული სხვათაშორის საქონლის რიცხვიც, მაგრამ ამასთანავე ვისაც საქონელი არა ჰყავს და ქირით მუშაობენ, იმათაც უნდა გამოერთვასთ ხარჯი თავის ქირის შესაფერათ, თორემ უმეტესს ნაწილს კალმიკებისას საქონელი სულ არა ჰყავთ და მარტო საქონლის პატრონებს რომ განუწესონ სახელმწიფო ხარჯი ეს მალიან დაამძიმებთ საქონლის მაშენებლებს. ამასთანავე ახალი წესის შემდგენი ჰფიქრობს იმათაც მოსთხოვოს ხარჯი, რომელნიც აქამდის არ იხდიდენ, მაგალითად მაღალ-წოდებასანი და სამღვდელოება. ამ ახალ წესში მართლაც ერთი მალიან კარგი განკარგულებაა ის, რომ დაბალს ხალხს ხარჯს უკლებენ და კეთილ-შობილებას კი ადებენ. მაგრამ ესეც უნდა შეინიშნოს, რომ მაღალწოდებას ისე გაბედვით ვერ ეპყრობა ახალი ხარჯის შემდგენი; ასე რომ იმათ წილში მალიან ცოტა ხარჯია დანიშნული.

* * *

— ერთი დრო იყო, რომ მასწავლებლებსა და მშობლებს ეგონათ, რომ ყმაწვილის გაზრდა და სწავლება უცემა-ტყეპოთ და საზოგადოთ დასუსჯელათ შეუძლებელი საქმე არისო. ამ დროს შემდეგ ბევრი ხანი არ გასულა, ასე რომ მე, სრულიად არა მოხუცებულს კაცს, მალიან კარგათ მახსოვს ჩვენი მასწავლებლები რომ, თუ ხელითა და თუ ლინეიკით, გვიტყაპუნებდენ თავ-პირში. ახლა კი ყველას მიხვდა, რომ ცემითა და დასჯით ყმაწვილის გაუკუღმართება უფრო ადვილათ შეიძლება, ვიდრე გაგონიერება. მაგრამ, საუბედუროთ, ახლაც არიან ისეთი მასწავლებლები (მშობლებზე ვიღა იტყვის), რომელნიც მუშტი-კრივს ხმარობენ პედაგოგიაში. რუსულ სასულიერო გაზეთში მოყვანილი მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ერთს სასულიერო სასწავლებელში, სადაც წკეპლათი დასჯა თუმც აღკრძალულია, მაგრამ ერთი მასწავლებელი «თავის მძლავრი ხელებით», როგორც შეუძლია, ისე სცემს თურმე საწყალ შაგირდებს. ზემოხსენებულს გაზეთში არ არის მოყვანილი სახელი და გვარი ამ მასწავლებლისა, მაგრამ «პეტერბურგის უწყებები» ამბობენ, რომ რიგიანი ეს კაცი გაიცნოს ქვეყანამ და იმის ყოფა-ქცევა ყველამ გაიგოსო.»

«დროებიდგან»

* * *

11 აპრილს ტიბეტში ყოფილა ისეთი მიწის მძვრა, რომ რამოდენიმე საათის განმავლობაში ქალაქის ბატანგში ერთი მთელი სახლი აღარ გადარჩენილა. მიწის მძვრის შემდეგ ამოვარდნილა საშინელი ქარი და ცეცხლი გაჩენილა და, რაც მიწის მძვრას გადარჩენია, ამას მოუთავებია. ამ ცეცხლს, როგორც იწერებიან, 3,000 კაცი დაუღუპავს და მრავალი საქონელი.

«დროებიდგან»

* * *

მარტო ერთი ინგლისური გაზეთის რედაქციას შვიდი ათას მანეთზე მეტი შეუკრებია ამ ომიანობისაგან დაზიანებული ფრანცუზებისთვის; ზოგს თუმანი, ზოგს ორი თუმანი, ზოგს ასი მანეთი და ზოგს კაპეიკობით მიჰქონდათ თურმე ფრანცუზების შესაწევნელათ. განსაკუთრებით ღარიბმა, მუშა-ხალხმა მალიან გულ-შემატკივრობა გამოიჩინა თურმე ამ კეთილ საქმეში.

«დროებიდგან».

* * *

## სასაზღვრო განცხადება ქუთაისის გუბერნიისა.

სეკდემბრის პირველს ღამით, ლეჩხუმს საოველს ოქურიში ღვდლის ბესარიონ ყრუაშვილის ცოლს მარგალიტას დაეკარგა დაკოდილი ბაჩა მარცხენა ბარძაყზე დაღი აზის და წინა მოსართავისაგან ნიშანი აქვს დასმული. ლეჩხუმის უეზდის სასამართლო სთხოვს მოახლოვნ ყოველგან განკარგულება და თუ სადმე აღმოჩნდა, აცნობონ სასამართლოს, ვისაც ჰყავს, ან სად ინახა.

* * *

— სიმონეთის სასოფლო სასამართლოში 14 რიცხვს დაუჭერიათ ორი გაქცეული ცხენი შემდეგი ნიშნებით: პირველი ოქროს ფერი, საშუალო ტანისა, უკანა ფეხზე დაღი აქვს, შუბლზე თეთრი აზის. და მეორე საშუალო ტანის არის, მარჯვენა თვალი ბრმა აქვს, შუბლზე თეთრი ნიკორა აქვს, უკანა ფეხები თეთრი აქვს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Октября, 1870 г. დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.